MES 8 22 0000856613

29/07/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 15.07.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:09 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:39 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1.**გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2.**ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3.**ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4.**თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
5.**ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6.**მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7.**ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8.**თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9.**ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;

10.**თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11.**დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12.**ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13.**დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14.**ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15.**გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**თინათინ ბაჯელიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	**ციცინო თურქაძე**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	**თეა კორძაძე**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	**ინგა ბოჭოიძე**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	I
4	**ნათია გოცაძე**	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი	რექტორი	II
5	**მარიამ დარბაიძე**	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	**მაკო ჯაოშვილი**	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯი	კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროგრამის თანახელმძღვანელი	II

7	**თამთა ჯინჯოლავა**	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	**დავით მახვილაძე**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V
9	**თინათინ კაიშაური**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V
10	**გია სურგულაძე**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმატიკის“ ხელმძღვანელი	III, IV, V
11	**ნუგზარ ამილახვარი**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმატიკის“ ხელმძღვანელი	III, IV, V
12	**ნუგზარ წერეთელი**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	III, IV, V
13	**მამუკა მაისურაძე**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V
14	**თამარ ცინცაძე**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის“ ხელმძღვანელი	III, IV, V

15	**ნანა გელოვანი**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი	III, IV, V
16	**ლილი პეტრიაშვილი**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის «ინფორმატიკი» ხელმძღვანელი	III, IV, V
17	**ქეთევან კოტრიკაძე**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მართვის სისტემების ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის“ ხელმძღვანელი	III, IV, V
18	**დიანა მჭედლიშვილი**	პს კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;	VI
19	**ეკა აკობია**	პს კავკასიის უნივერსიტეტი	სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	**ირმა ინაშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	**ბელა ჯაფოშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	I

3	**ია ნაცვლიშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	**გივი გავარდიშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	**ბაქარ დუაძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	**ნატალია თვალჭრელაძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	**ნინო შოშიტაშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	**მალხაზ გაგუა**	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	**ნინო ქიმერიძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	**ლანა ბოკუჩავა**	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	**მაგდა მემანიშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	II

12	**ანა ქეშელაშვილი**	(ჩაერთო „ზუმით“)	II
13	**მაკა ჯავახია**	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	**ავთანდილ თავხელიძე**	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	**მიხეილ რუხაია**	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	**ივანნა მაჩიტაძა**	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:09 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი.

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოს დაცვის ტექნოლოგიები Environmental protection technologis
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზებული N 61, 07.09.2018 აკრედიტებული N 116, 19.04.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტარტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII

9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი გარემოს ინჟინერიაში Master of Science (MSc) Environmental Engeneering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	4600, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. 98, სასწავლო კორპუსი #7 და #8.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (№325335, 29/03/2022) საფუძველზე, მიმდინარე წლის 11-12 აპრილს. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აწსუ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გარემოს დაცვის ტექნოლოგიები“ (წინა დასახელება „გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია“) აკრედიტებულ რეჟიმში ფუნქციონირებდა 2012 წლიდან, ხოლო 2018 წლის 07 სექტემბრიდან იგი ფუნქციონირებს ავტორიზებულ რეჟიმში. აკრედიტაციის შემდგომ პროგრამამ განიცადა ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამაში ეტაპობრივად ხდებოდა შინაარსის, შეფასების სისტემის, ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის, სასწავლო ლიტერატურის, მატერალურ-ტექნიკური ბაზის და ა.შ. გაუმჯობესება-დახვეწა. აქვე უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის როგორც ადმინისტაციის, ისე პროფესორ-მასწავლელების აქტიური მხარდაჭერა და ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიცვალა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პროგრამა ანიჭებდა „გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების მაგისტრის“ კვალიფიკაციას, ხოლო 2020 წლიდან პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხია „მეცნიერების მაგისტრი გარემოს ინჟინერიაში“ (კოდი 0712). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ვიზიტის მსვლელობისას, ჩატარდა შეხვედრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებთან, ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი და შერჩევითობის პრინციპით, შეამოწმა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში. აგრეთვე განხორციელდა სასწავლო ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილი იყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯმა დოკუმენტების შესწავლის და ვიზიტის შედეგები, რის შემდეგ ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო წინასწარი მიგნებები. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად: პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტი,

რომელიც ეხება პროგრამის სტრუქტურას შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტის დანარჩენი კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი კომპონენტები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურა ჩასწორდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ -ის (2019 წლის 10 აპრილი) დანართი №2 -ის (სწავლის სფეროების კლასიფიკატორი) შესაბამისად.
2. ხარისსხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განვითარების პროცესში უზრუნველყოს პროგრამის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში თავდაპირველად გამოყენებული იყო ტერმინი მოდული. თუმცა, სსიპ-განათლების ხარისხისგან ვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უსდ-ებისთვის ცირკულარით გაგზავნილი წერილით, გვეცნობა, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისათვის განსაზღვრული ზოგიერთი რეგულაციის დაზუსტების საჭიროება. კერძოდ, "კონცენტრაციის რაოდენობა უნდა შეიცვალოს და ნაცვლად სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 50%-სა, შესაძლებელია განისაზღვროს უფრო ნაკლები რაოდენობის პირობებშიც. აღნიშნული მოსაზრება ემყარება შემდეგ გარემოებებს: მიმდინარე რეგულაციის პირობებში, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) 50%-ზე მეტია. აღნიშნული ჩანაწერი პროგრამის სტრუქტურისა და კვალიფიკაციის შესახებ გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის კონცენტრაციის განმარტებასთან მიმართებით სამაგისტრო საფეხურის პროგრამისათვის. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება შეადგენს კონცენტრაციას სამაგისტრო პროგრამაში ძირითადი სფეროს სასწავლო კომპონენტების დაჯგუფებით და მისი მოცულობა იქნება 50%-ზე მეტი, მაშინ თავად კონცენტრაცია იქნება პროგრამის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი. მაშინ, როცა, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას". "იმისათვის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეეძლოთ, სამაგისტრო დონეზეც მოახდინონ სასწავლო კომპონენტების დაჯგუფება კონცენტრაციის სახით და ამავდროულად, კონცენტრცია არ ცვლიდეს ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მიზანშეწონილია, რომ განისაზღვროს კრედიტების გონივრული რაოდენობა იმ პირობებში, რომ სტუდენტს შეეძლოს სფეროს კონკრეტული მიმართულებით კონცენტრირება შესაბამისი სწავლის შედეგებით და ამავდროულად, რაოდენობა არ იყოს კვალიფიკაციის ცვლილების განმსაზღვრელი. შესაძლებელია მივიჩნიოთ გონივრულად არაუმეტეს 20 კრედიტის ოდენობა". ამასთან,

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მუხლი 244 . „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას“ და არ უკავშირდება პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრის საკითხებს. შესაბამისად, მოცემული ამყარებს ცენტრის მიერ გაცხადებულ შემდეგ პოზიციას და არგუმენტირებულ მოსაზრებას. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დაწესებულება მზად არის შეცვალოს პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი ტერმინი „კონცენტრაცია“ ტერმინით „მოდული“, რაც მოხსნის არსებულ პრობლემას, თუმცა თუკი მარეგულირებელ დოკუმენტში შევა ცენტრის პოზიციით გაცხადებული ზემოთაღწერილი ლოგიკური ცვლილებები, დაწესებულება მზადაა კვლავ გაითვალისწინოს ეს საკითხი მოცემული პროგრამის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტის მე-2 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტებს დასკვნაში უწერიათ, რომ პროგრამაში ძირითადად წარმოდგენილია ჰაერისა და მიწის დაბინძურების პრობლემის ამსახველი სასწავლო კურსები, ხოლო ნაკლები საათები ეთმობა ნიადაგების დაცვის პრობლემას, თუმცა კურიკულუმის რუკის სილაბუსების გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ ნიადაგების დაცვისა და საინჟინრო ღონისძიებების შესახებ სასწავლო კურსები წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, დასკვნაში ასახული რჩევა - სასურველია, პროგრამის სპეციალობის ძირითადი საგნების ნუსხას დაემატოს საინჟინრო კომპეტენციების განმავითარებელი კურსი, რომელშიც ასახული იქნება ნიადაგების დაცვის საინჟინრო ღონიძიებები, ხომ არ ატარებს მოცემულ შემთხვევაშ რეკომენდაციის ხასიათს. საბჭოს წევრმა, ასევე, აღნიშნა გარემოს დაბინძურების ანალიზის საკითხები, კერძოდ, სილაბუსში გამოყენებული სახელმძღვანელო განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის და შემუშავებულია გარემოს ტექნიკოსის მე-4 დონის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა არის თუ არა აღნიშნული სახელმძღვანელო სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი. რაც შეეხება ,,რადიაციული უსაფრთხოების საკითხებს“, ლიტერატურის სახით გამოყენებულია საქართველოს კანონი ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ და ,,ტექნიკური რეგლამენტი“. ამასთან დაკავშრებითაც საბჭოს წევრმა დააზუსტა შეესაბამება თუ არა ლიტერატურა სასწავლო კურსის შინაარს და შესაძლებელია თუ არა კანონების მეშვეობით აღნიშნული საკითხების სრულად შესწავლა. ასევე, საბჭოს წევრმა დაწესებულებას სთხოვა დაეზუსტებინა კვლევით პროექტთან დაკავშირებული დეტალები.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებასა და პროგრამის განმახორციელებელ გუნდს კარგად აქვს გააზრებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორში წარმოდგენილი გარემოს დაცვის ტექნოლოგიის დარგობრივი სფეროს აღწერა: „შეისწავლის გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესებს. იგი მოიცავს ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ა.შ. კონტროლთან დაკავშირებულ პროგრამებს“. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები და შინაარსი ითვალისწინებს დარგობრივი სფეროს აღწერას, უკავშირდება გარემოს დამაბინძურებელ ნივთიერებებს, ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებისა და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესებს, ასევე ჰაერის, წყლისა და ნიადაგების კონტროლს (დაბინძურების მხრივ). ნიადაგის კონტროლთან დაკავშირებული საკითხები განიხილება მთლიანი პროგრამის შინაარსით, რომელსაც ფარავს შემდეგი სასწავლო კურსები: ქიმიური ნივთიერებები გარემოში და გარემოს კომპონენტების ხარისხი; მინერალური რესურსები და ძირითადი სამრეწველო ტექნოლოგიები; გარემოს დაბინძურების ანალიზი; გარემოსდაცვითი პოლიტიკა და კანონმდებლობა; რადიაციული უსაფრთხოების საფუძვლები;

ნარჩენების მართვისა და რესურსების აღდგენის ტექნოლოგიები; გარემოსდაცვითი შეფასება და ზედამხედველობა, კვლევითი პროექტი, კლიმატის ცვლილება - რისკები, ზემოქმედება და საადაპტაციო ღონისძიებები; კლიმატის ცვლილებების შერბილების ტექნოლოგიები. რაც შეეხება კურსს ნიადაგების დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ, ეს უკავშირდება ნიადაგების კონსერვაციას, ნაყოფიერების ამაღლებას, რეკულტივაციას, მელიორაციას, ეროზიისაგან დაცვას და ა.შ., რაც წარმოადგენს აგროეკოლოგიია, აგრარული ინჟინერიის, გეოლოგიის და ა.შ. შესწავლის სფეროს. ამ კურსის შესწავლისათვის საჭიროა სხვა წინაპირობები, რაც პროგრამის დარგობრივ სფეროს სცილდება. ამასთან, მოცემული დარგობრივი სფეროს ანალოგი პროგრამების ანალიზის მიხედვით (ლიეტუვა, გერმანია, ნიდერლანდები, ესტონეთი), მათში ასევე არ არის წარმოდგენილი ნიადაგების საინჟინრო დაცვის სასწავლო კურსი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ვიზიტის დროსაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ის, რასაც ექსპერტები თვლიან ე.წ. მოძველებულ ლიტერატურად წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში სხვა ლიტერატურასთან ერთად კომბინაციაში, რაც ერთმანეთს ავსებს და საბოლოო სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს. ექსპერტების მიერ დასკვნის ტექსტში მოყვანილი ლიტერატურა ფიგურირებს სხვადასხვა სასწავლო კურსში, რომლებშიც, ასევე, წარმოდგენილია სხვა ახალი ძირითადი ლიტერატურა. ასეთი კომბინაცია ხშირ შემთხვევაში ემსახურება მათში წარმოდგენილი მონაცემებისა და მიდგომების შეჯერებას, შეპირისპირებასა და ანალიზს. ლიტერატურის სახით საქართველოს კანონის ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ და ,,ტექნიკური რეგლამენტი“-ს გამოყენებასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, რომელშიც საკმაოდ ვრცელი და ამომწურავი ინფორმაციია ასახული რადიაციული უსაფრთხოების საკითხებზე. კვლევით პროექტთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ საერთაშორისო ანალოგი პროგრამების ანალიზის შედეგად შეიმუშავეს, ასევე კურსდამთავრებულებთან და მაგისტრანტებთან კომუნიკაციის შედეგად შემუშავდა კვლევითი პროექტი, რომელიც მესამე სემესტრშია წარმოდგენილი. პროექტის ფარგლებში სტუდენტი თავად ირჩევს საკვლევ საკითხს, აანალიზებს მასთან მიმართებით ლიტერატურას, ეცნობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და აღნიშნულის საფუძველზე შეიმუშავებს საბოლოო ნაშრომს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ როგორია პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელი 2021 წელს იყო 9 მაგისტრი, ხოლო 2022 წელს დაწესებულება კიდევ ელის მაგისტრანტთა რაოდენობის ზრდას. ამ ეტაპისთვის მოცემულ პროგრამაზე გამოყოფილია სულ 15 ადგილი, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი სპეციალობის მიხედვით არის 80%.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:23

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:

2.2

- პროგრამის სტრუქტურაში გასწორდეს ტერმინოლოგიური უზუსტობა ზოგიერთი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის მიმართ, კანონთან შეუსაბამობისა და ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით.
- იზანშეწონილია, რომ პროგრამის სტრუქტურა ჩასწორდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება No69/ნ-ის(2019 წლის 10 აპრილი)დანართი No2-ის (სწავლის სფეროების კლასიფიკატორი) შესაბამისად.

2.3

- რიგ სასწავლო კურსებში (გარემოს დაბინძურების ანალიზი, რადიაციული უსაფრთხოების საფუძვლები და სხვა) გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან.

5.1

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განვითარების პროცესში უზრუნველყოს პროგრამის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

5.3

- რეკომენდებულია პროგრამა სისტემატურად იყენებდეს მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმებს.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

- პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის დასადგენად და შესაბამისი სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისთვის, გამოყენებული იქნეს არა პროგრამის კომპონენტის/სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, არამედ შეფასების ის კონკრეტული კომპონენტი/დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს;

- მიზანშეწონილია, მოძველებული ლიტერატურის განახლება;

- მიზანშეწონილია, დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს, თუ რომელი სპეციალობის ბაკალავრების მიღებაა სასურველი აღნიშნულ პროგრამაზე;
- სასურველია, პროგრამის სპეციალობის ძირითადი საგნების ნუსხას დაემატოს საინჟინრო კომპეტენციების განმავითარებელი კურსი, რომელშიც ასახული იქნება ნიადაგების დაცვის საინჟინრო ღონისძიებები;

- სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები.

2. მეორე საკითხი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია Mass Communication
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი Bachelor of Mass Communication
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, 0321 Journalism and Reporting
12	სწავლების ენა	ქართული
	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

13		
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #67
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - მაკა კაჭარავამ და ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე – ნატალია თვალჭრელიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები და მიგნებები უკვე გაჟღერებული იქნა საბჭოს სხდომაზე, ამიტომ უმჯობესია ამჟამად საკითხზე ისაუბრონ დამატებითმა ექსპერტებმა და წარმოადგინონ პროგრამასთან დაკავშრებით მათი მიგნებები და მოსაზრებები.
დამატებითმა ექსპერტმა ანა ქეშელაშვილმა აღნიშნა, რომ იგი გაეცნო „ალტერბრიჯის“ „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ

დოკუმენტაციას; ხოლო უნივერსიტეტში ვიზიტმა საშუალება მისცა, დაეთვალიერებინა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელებთან დაეზუსტებინა რამდენიმე ასპექტი, რის შესახებაც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო სრულყოფილი ინფორმაცია.მასობრივი კომუნიკაცია, უპირველეს ყოვლისა, გზავნილის შექმნასა და მის ფართო აუდიტორიასთან მიტანას გულისხმობს. ტექნოლოგიური წინსვლით გამოწვეული ცვლილებების შედეგად, მასობრივი კომუნიკაცია თავისი ბუნებით ინტერდისციპლინური გახდა, რამდენადაც გასცდა ტრადიციულ ფორმებს. თუკი ანტიკურ ეპოქაში მასობრივი კომუნიკაციის ინსტრუმენტი ორატორული ხელოვნების დაუფლება იყო, ტექნოლოგიების განვითარებამ სიტყვასთან ერთად ვიზუალური კომუნიკაციის საშუალებებიც გააჩინა და მეოცე საუკუნეში უკვე ტრადიციული მედია-არხებით კომუნიკაციას ვუწოდეთ მასობრივი კომუნიკაცია. მასმედია და ჟურნალისტიკა, მარკეტინგი და რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობები, ის ქვედისციპლინებია, რომლებიც მასობრივი კომუნიკაციის საერთო ქოლგის ქვეშ ერთიანდება გამომდინარე იქიდან, რომ ამ კვალიფიკაციის მქონე ადამიანებს აერთიანებთ ცოდნა კომუნიკაციის განვითარების, გავლენისა და ხერხების შესახებ, ასევე გზავნილის ეფექტურად ჩამოყალიბებისა და არხის შესაბამის ფორმატში, შესაბამის აუდიტორიაზე გავრცელების უნარები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასობრივი კომუნიკაციის პროგრამებს შორის უფრო მეტი სხვაობაა ხოლმე, ვიდრე სოციალური მეცნიერებების სხვა დისციპლინების შემთხვევაში და, შესაბამისად, პროგრამის შინაარსში სხვაობას კონკრეტული პროგრამის მიზნები განაპირობებს. თუმცა, რასაკვირველია, მასობრივი კომუნიკაცია არ არსებობს მასმედიის გარეშე, რომლის სხვადასხვა პლატფორმის გაცნობა როგორც თეორიულად, ისე - პრაქტიკულად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ალბათ ნებისმიერი მასკომუნიკაციის პროგრამისთვის. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება და პროგრამაში ასახვა, ისევე, როგორც ცვლილებების კულტურულ-სოციალურ თუ პოლიტიკურ კონტექსტში (იქნება ეს მიმდინარე თუ ისტორიული) განხილვა.ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიზნებიდან გამომდინარე ნათელია, რომ პროგრამა ემსახურება სტუდენტისთვის როგორც თეორიული ცოდნის მიცემას, ისე პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ეს ჩანს პროგრამის შედეგების აღწერაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ პროგრამა უფრო მეტად ორიენტირებულია მასმედიის სპეციალისტებისა და პრაქტიკოსების მომზადებაზე, ვიდრე საზოგადოებრივი ურთიერთობის ან მარკეტინგისა და რეკლამის განხრით მათი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე. თუმცა, პროგრამის მიზნებიც და პროგრამაში აღწერილი დასაქმების სფეროებიც უფრო მრავალფეროვანია და არ შემოიფარგლება კურსდამთავრებულის მხოლოდ მედია ორგანიზაციებში დასაქმებისთვის მომზადებით. ამიტომ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ ეს მოცემულობა უფრო ნათლად იყოს წარმოჩენილი პროგრამის შედეგებში. პროგრამა არ არის მხოლოდ ჟურნალისტის/რეპორტიორის მომზადებისკენ მიმართული, არამედ მასობრივი კომუნიკაციის, მისი ფართო განსაზღვრების შესაბამისი, მრავალმხრივი ცოდნის მიწოდებას ემსახურება.პროგრამისა და სილაბუსების ანალიზიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პროგრამამ დასახულ მიზნებს მიაღწიოს, ასევე, შემცირდეს სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და სტუდენტს მეტი არჩევანი ჰქონდეს, რეკომენდებულია პროგრამაში გარკვეული საგნების გაერთიანება, ზოგ შემთხვევაში კურსების თანმიმდევრობის ცვლილება, რაც პროგრამას მნიშვნელოვნად გააძლიერებდა. ძირითადი კურსების არაერთ საგანში ხდება თემების გადაფარვა. ერთი მხრივ, რასაკვირველია, სასურველია, სტუდენტს ჰქონდეს რთული თეორიული თემების გახსენებისა და გამეორების საშუალება, მაგრამ სრული ლექციის თემის განმეორება საგნიდან საგანში არასასურველია.ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ეთიკის სწავლებას ეხება. ჟურნალისტური ეთიკა, ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებისა და კოდექსების განხილვა გვხვდება ერთ-ერთი კვირის თემად საგანში „შესავალი მასკომუნიკაციაში“; ასევე გვხვდება საგანში „მედიამონიტორინგი“; ამასთან, ამ ძალიან მნიშვნელოვან თემას ცალკე კურსი „პროფესიული ეთიკა“ ეძღვნება, სადაც ასევე განხილულია ეთიკის კოდექსები და პრინციპები

ვრცლად და საფუძვლიანად. გარდა ამისა, კურსში „მედიაწიგნიერება“, ერთ-ერთი თემა, მედია და პირადი ცხოვრება (როგორ უნდა გააშუქოს მედიამ ესა თუ ის მოწყვლადი ჯგუფი - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მედიაგაშუქება) პირდაპირ უკავშირდება ჟურნალისტურ ეთიკას, თუმცა, გვხვდება სხვა დასახელების სილაბუსში. მართალია, დასახელებული კურსების ლექტორები ამ თემას სიღრმისეულად იცნობენ, საკმაოდ განსხვავებული გამოცდილება აქვთ და თითოეული პერსპექტივიდან დანახული ეთიკის პრინციპები და მათი განხილვა შესაძლოა საინტერესო იყოს სტუდენტებისთვის, მაგრამ სასურველია, რომ პროგრამაზე მომუშავე გუნდმა ერთად გაიაზროს მსგავსებები და თითოეულ ლექტორს ამოცანა სწორად დაუსახოს, რომ სტუდენტებისთვის სხვადასხვა კურსის ფარგლებში გავლილი ერთი და იგივე თემატიკა არ გახდეს უინტერესო და უმნიშვნელო. გარდა აღნიშნული გადაფარვებისა, სასურველია, ზოგ შემთხვევაში თანმიმდევრობის შეცვლა, ან კონკრეტული კურსების დამატება. მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი საგნის, „რეკლამის“ თემატიკა ითხოვს მარკეტინგის საფუძვლების ცოდნას, თუნდაც იმისათვის, რომ სტუდენტებს სწორად ესმოდეთ საჭირო ტერმინოლოგია, მაგრამ მარკეტინგის საფუძვლების სწავლებას პროგრამის სავალდებულო ნაწილი არ მოიაზრებს და „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“ თავისუფალ არჩევით საგნად არის შეთავაზებული, სასურველია, იგი „რეკლამის“ კურსის წინაპირობას წარმოადგენდეს. წინაპირობებთან დაკავშირებით, ასევე, სასურველია გააზრებული იქნას პროგრამის ძირითადი საგნებიდან კიდევ ორი საგნის თანმიმდევრობა - „მულტიმედია ტექნოლოგიები“ და „ციფრული მედია და კომუნიკაცია“. პირველი საგანი შეთავაზებულია მეოთხე სემესტრში და წინაპირობაა მეორე საგნისა, რომელიც მეექვსე სემესტრშია შეთავაზებული. თუმცა, საგნების შინაარსიდან გამომდინარე, „ციფრული მედია და კომუნიკაცია“ უფრო ზოგადი შესავალი კურსია და ინტერნეტ-ინსტრუმენტების საფუძვლებს ასწავლის, ხოლო „მულტიმედია ტექნოლოგიები“ კი პირიქით, ამბის მულტიმედიურ თხრობას შეასწავლის სტუდენტებს და არა ზოგადად ინტერნეტ-ინსტრუმენტებს, შესაბამისად, გარდა ალბათ სათაურის დაზუსტებისა, სასურველია, ამ ორ საგანს ადგილი შეეცვალოს და, შესაბამისად, წინაპირობებიც. ამასთან, პროგრამა სტუდენტს სთავაზობს სავალდებულო, თავისუფალ სავალდებულო და არჩევით საგნებს. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსები 156 კრედიტს მოიცავს. თუმცა, სტუდენტები ვალდებულნი არიან გაიარონ, ასევე, ეგრეთ წოდებული თავისუფალი სავალდებულო საგნები 42 კრედიტის ფარგლებში. საერთო ჯამში, გამოდის, რომ სავალდებულო კურსების ფარგლებში სტუდენტს 198 კრედიტი უგროვდება, რაც სტუდენტის არჩევანს ამცირებს. ამასთან, არის ისეთი საგნები, რაც პირდაპირ არ არის მიზნებთან დაკავშირებული და შესაძლებელია, რომ შეთავაზებული იქნას არჩევით საგნად. ასე, მაგალითად, „კინოდოკუმენტალისტიკა“, „მედიაპროდიუსინგი“ და „მედიამონიტორინგი“ მასობრივი კომუნიკაციის ზოგადი სპეციალისტისთვის ნაკლებად სავალდებულოა, როგორც დამოუკიდებელი, ცალკე მდგომი საგნები და კონკრეტული მიმართულებით ცოდნის გასაღრმავებლად სტუდენტისთვის შეიძლება საინტერესო იყოს კონკრეტული საგნის არჩევა და არა სავალდებულო სახით მისი სწავლა. ასევე, „ამბის თხრობის ხელოვნება,“ რომელიც თავისი შინაარსით დრამატურგიას ასწავლის და საკმაოდ საინტერესოდ, შესაძლებელია, რომ არჩევითი საგანი იყოს და არასავალდებულო, რამდენადაც სპეციალობის სხვა საგნებში, როგორიც არის „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“, „ბეჭდური მედია“, „რადიოჟურნალისტიკა“, „ტელეჟურნალისტიკა“ და ა.შ., ისწავლება ამბის თხრობის მასობრივ მედიაში გავრცელებული ფორმები. რაც შეეხება ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯის“„მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 18 აკადემიური და 19 მოწვეული პერსონალი. კომუნიკაციის სფეროს სწრაფად ცვალებადობის გათვალისწინებით, თანაფარდობა, ვფიქრობ, ადეკვატურია. პროგრამაში ჩართულ პერსონალს შორის არაერთი დოქტორია კომუნიკაციის განხრით, რაც ასევე კარგად ახასიათებს პროგრამას. სწავლების პროცესში ჩართულ პერსონალს შორის გვხვდება, ასევე, მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალი, თუმცა, მათი გამოცდილება ძირითადად

ადასტურებს მათ კომპეტენციას, წარუძღვნენ ამა თუ იმ კურსს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, როგორც ძირითად, ისე არჩევით კურსებს შორის გვხვდება კურსები, რომლის სწავლება შესაძლოა სხვა აკადემიური პერსონალის მიერ უფრო უპრიანი იყოს. მაგალითად, „სოციალური კვლევის მეთოდები“, სასურველია, ასწავლოს მედიისა და კომუნიკაციის მკვლევარმა და არა ფსიქოლოგიის დოქტორანტმა ან მაგისტრმა, მითუფრო, რომ ამის საშუალებას პროგრამის აკადემიური პერსონალი ნამდვილად იძლევა, იგივე ეხება არჩევით საგანს „მედიის კვლევის მეთოდები“, რომელიც თავისთავად საკმაოდ რთული შინაარსის საგანია ბაკალავრებისათვის და უმჯობესია, თუ მედიის კვლევებში უფრო აქტიურად ჩართული აკადემიური პერსონალი ასწავლის. რაც შეეხება მატერიალურ რესურსებს, მნიშვნელოვანია, რომ გარკვეულ საგნებში უფრო თვალნათელი იყოს პრაქტიკული უნარების სწავლების კომპონენტი, რისთვისაც, ბუნებრივია, უნივერსიტეტს დასჭირდება სათანადო აღჭურვილობა. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს სათანადო ტექნიკური ბაზით. არსებული ბაზის დათვალიერება, ისევე, როგორც ტექნიკის ჩამონათვალი, რომელიც გამოვითხოვე და მოგვაწოდა უნივერსიტეტმა, აჩვენებს, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე 50 სტუდენტის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტს მოუწევს პრაქტიკული მეცადინეობებისთვის სტუდენტების მცირე ჯგუფებად დაყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული ლაბორატორია იძლევა საშუალებას, სტუდენტებმა ორ-სამ-კაციან ჯგუფებში იმუშავონ, თუმცა ფოტო-ვიდეო აპარატურაზე მუშაობის შემთხვევაში, უფრო მეტი ჯგუფის მართვა იქნება საჭირო, რამდენადაც 50-კაციანი ჯგუფისთვის ფოტო-ვიდეო კამერები არ არის საკმარისი, ისევე, როგორც სამონტაჟო აპარატურა. რადიო-სტუდია გამართულია როგორც პირდაპირ ეთერში, ისე - გადაცემების ჩასაწერად და დასამონტაჟებლად სამუშაოდ. თვითშეფასების ანგარიშში გასაუმჯობესებელ მხარეებს შორის ნახსენებია ტექნიკური რესურსების მუდმივი განახლების აუცილებლობა, თუმცა, სასურველი იყო, ეს ბიუჯეტშიც ასახულიყო. როგორც პროგრამის ადმინისტრაციამ განგვიმარტა, რამდენადაც უნივერსიტეტში პროგრამების ჯერ-ჯერობით მცირე რაოდენობა აქვთ მხოლოდ, ტექნიკური რესურსების შესაძენად თანხა ასახულია საერთო ბიუჯეტში, ნაცვლად პროგრამის ბიუჯეტისა. პრაქტიკული მეცადინეობები პროგრამაში მოგვიანებით არის გათვალისწინებული, რაც უნივერსიტეტს აძლევს დროს იმისათვის, რომ სტუდენტების მიღების პირველივე წელს სათანადოდ აღჭურვოს ტექნიკური ბაზა, რომლის ამ ეტაპზე შევსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც იგი მართლაც მუდმივ განახლებას მოითხოვს და სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობის მომენტისთვის შესაძლოა თავიდან გასაახლებელი იყო.

დამატებითმა ექსპერტმა, მაგდა მემანიშვილმა პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აუცილებელია სწავლის შედეგებში ჩანდეს, რომ პროგრამა ამზადებს არა მხოლოდ რეპორტიორებსა და ჟურნალისტებს, რომლებიც მედია ორგანიზაციებში იმუშავებენ, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტებს. ვინაიდან ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედაც რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს უკავშირდება, სწავლის შედეგებში უნდა იყოს ასახული, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის დაგეგმვა და განხორციელებაში მონაწილეობა, პროდუქციისა და მომსახურების პოზიციონირება, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. რაც შეეხება სტრუქტურას, პროგრამის შინაარსის ანალიზისას ცხადი ხდება, რომ თანაბარი აქცენტით ისწავლება, როგორც ჟურნალისტიკის (მედიაპროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული1) საგნები, ისე - ზოგადად მასობრივი კომუნიკაციის საგნები. ორივე მიმართულება სავალდებულოა. გარდა ამისა, სავალდებულო ხასიათი აქვს ისეთ ფართო სპექტრის საგნებს, როგორიცაა - ამბის თხრობის ხელოვნება. კინოდოკუმენტალისტიკა. დაბოლოს, სავალდებულო საგნებია ე.წ. ტრანსფერული უნარების განმავითარებელი საგნები - ინფორმაციული ტექნოლოგიები, აკადემიური წერა და კეთილსინდისიერება, ეფექტიანი წარდგენის ტექნიკა, ინგლისური ენა და სხვა უცხო ენები. საგნების ეს უკანასკნელი ჯგუფი აუცილებლად სავალდებულო უნდა იყოს, თუმცა ამ საგნებს მიაქვთ თავისუფალი კომპონენტის 62 კრედიტიდან 42 კრედიტი, რაც ზედმეტად დიდი

წილია. სასწავლო პროგრამის სტრუქტურის ასეთი თავისებურების შედეგი ისა, რომ 240 კრედიტიდან სავალდებულოა 198 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 156 ECTS და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 42 ECTS. არჩევითი საგნებისათვის რჩება მცირე ადგილი, მხოლოდ 42 კრედიტი. ამასთან, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ფოკუსირებულია როგორც ჟურნალისტებისა და რეპორტიორების, ისე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მომზადებაზე. ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნების სიმრავლე ლოგიკურიც არის. თუმცა, ჩვენი აზრით, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნების ჯგუფში რამდენიმე ისეთი საგანია, რომელიც არ უნდა იყოს სავალდებულო და უნდა ისწავლებოდეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით საგნებში. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო კურსების რაოდენობა დიდია, ჩემი აზრით, აუცილებელია ამ კომპონენტში ჩაისვას ისეთი საგანი, როგორიცაა ქართული ენა, რადგან ქართული მედიის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა ქართულ ენაზე გამართული წერაა; ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტებსაც სჭირდებათ - პრესრელიზების და სხვადასხვა სახის გამოყენებითი კვლევების შესაქმნელად; პროფესიული ინგლისური - აღნიშული საგანი, მინიმუმ, ორი სემესტრი მაინც უნდა ისწავლებოდეს, რადგან დარგისათვის საჭირო ლექსიკის დაუფლება ერთ სემესტრში რთულია. მნიშვნელოვანი, ასევე, თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო საგანი - ეფექტიანი წარდგენის ტექნიკის - მიზანია „სტუდენტს გააცნოს წარდგენის ხერხები და საშუალებები. შეასწავლოს ინფორმაციის ეფექტურად გადმოცემის სტილი და მანერა, გამოუმუშავოს ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარები მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისთვის, გაუმყაროს არგუმენტირებული მსჯელობისა და სათქმელის ლაკონურად ჩამოყალიბების უნარი“. ეს მიზანი მიიღწევა სხვადასხვა სავალდებულო საგნებიდანაც: მეტყველება, საჯარო გამოსვლის ხელოვნება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მულტიმედია ტექნოლოგიები, მასებთან ურთიერთობის ფსიქოლოგია. ამდენად, ჩვენი აზრით, ეს საგანი სავალდებულო არ უნდა იყოს და არ უნდა მიჰქონდეს თავისუფალი კომპონენტის კრედიტები. ჟურნალისტურ ეთიკასთან დაკავშირებული თემები მეორდება ისეთ საგნებში, როგორიცაა „შესავალი ჟურნალისტიკასა და მასკომუნიკაციაში“, „პროფესიული ეთიკა“, „ციფრული მედია წიგნიერება“. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, პროგრამაში ჩართულია 37 ადამიანი, 18 პროფესორი (აქედან 11 აფილირებული) და 19 - მოწვეული პედაგოგი. აკადემიური პერსონალის აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს დოქტორის ხარისხი ან - სოციალურ მეცნიერებებში, ან - მასობრივ კომუნიკაციაში, ან - მედიამენეჯმენტში, ანდა - ჟურნალისტიკაში. იმ რამდენიმე ადამიანს კი, ვისაც სხვა სფეროში აქვს დოქტორის2, ან მაგისტრის ხარისხი, რენომეს მიხედვით მრავალწლიანი რელევანტური პროფესიული გამოცდილება გააჩნიათ, ანდა არიან - დარგში სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციების ავტორები. აღსანიშნია ისიც, რომ მასობრივი კომუნიკაცია ფართო და ინტერდისციპლინური სფეროა, ამდენად ამ კვალიფიკაციის მიმნიჭებელ პროგრამაში დარგისა და მომიჯნავე დარგების (საჯარო ადმინისტრირება, განათლება) დოქტორებისა და მაგისტრების ჩართვა, ჩვენი აზრით, ბუნებრივია. უფრო გულდასმით შევისწავლეთ პროგრამაში ჩართული იმ აფილირებული პროფესორების პროფესიული ბიოგრაფია, რომლებიც დაკავშირებულები არიან პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - მასობრივ კომუნიკაციასთან და რის გამოც პროგრამის განვითარებაში მათ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ. რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, უნივერსიტეტის მფლობელობაშია სამი სამონტაჟო კომპიუტერი, რომელშიც ინსტალირებულია აუდიო-ვიზუალური მონტაჟისა და გრაფიკული პროექტების საწარმოებლად საჭირო კომპიუტერული პროგრამები. სამი კომპიუტერიდან ერთი პირდაპირი ტრანსლირების პროცესს ემსახურება. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი პირველივე წელს 50 სტუდენტის მიღებას გეგმავს, ტექნიკური აღჭურვილობა შეიძლება მწირიც ჩანდეს. თუმცა, აღსანიშნია, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით მედიაპროდუქტის წარმოება სწავლის მესამე სემესტრიდან იწყება, რაც საშუალებას აძლევს გუნდს, რომ პროგრამის ამოქმედების

პირველსავე წელს შეიძინოს დამატებითი აპარატურა და გააძლიეროს სასწავლო ლაბორატორია. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საკმარისია პროგრამის დასაწყებად, თუმცა პროგრამის ამოქმედების წელსვე ბაზა უნდა შეივსოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა შეფასება იყო სრულად დარგზე ორიენტირებული. რაც შეეხება შედეგების საკითხს, საკვალიფიკაციო ჩარჩო თავისი აღმწერით განსაზღვრას იმ მოცემულობას, რომელსაც პროგრამა აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს. მოცემულ შემთხვევაში აღმწერი ამბობს, რომ პროგრამა, რომელიც ამ კვალიფიკაციაზე გადის უნდა პასუხობდეს შემდეგ მოცემულობას, შეისწავლის ჟურნალისტიკის, რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. შესაბამისად, მოცემული პროგრამა შინაარსობრივად პირდაპირ პასუხობს იმას, რაც არის მასკომუნიკაცია. ასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულიად შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და მკაფიო ზღვარია მომიჯნავე სფეროების სპეციფიურ მახასიათებლებთან. თუმცა, მასკომუნიკაცია თავისთავში აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებას. ამის შესახებ ახსნა თვალსაჩინოდ არის მოცემული გარე ექსპერტის დასკვნაში. იხ. ამონარიდი: „პროგრამის ის ნაწილი, რომელიც დასაქმების სფეროს აღწერს, ვრცელია. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სათაური: „მასობრივი კომუნიკაცია“ კურსდამთავრებულთა მოქმედების არეალს ასევე ფართო კუთხით განსაზღვრავს. სწავლის შედეგები განისაზღვრა კომპლექსურად: შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს. შედეგების შეფასებისთვის დამუშავდა სწავლის შედეგების შეფასების რუკაც, სადაც გაიწერა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები(პირდაპირი და არაპირდაპირი) და მიენიჭა პირობითი სამიზნე ნიშნულები. პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას სასწავლო კურსებში მათი ინტეგრირების მეშვეობით. კურსდამთავრებული პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით შრომის ბაზრის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს.
რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, თითოეული ადამიანს, რომელიც მოცემულ პროგრამაზე ასწავლის აქვს შესაბამის დარგში კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება იმისთვის, რომ ცოდნა გადასცეს სტუდენტებს.
რაც შეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, დღეს შეძენა ტექნიკის რომლის მეშვეობითაც 2 წლის შემდგომ გარკვეული პროდუქტი უნდა დამზადდეს დაწესებულებისთვის არარელევანტურია. არსებული რესურსით სავსებით შესაძლებელია პროგრამის დაწყება, თუმცა დაწესებულება გამოთქვამს მზაობას რომ სტუდია იყოს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სასწავლო კურსების გადაფარვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ,,კომუნიკაციის საფუძვლები“ არ არის სოციოლოგიის შესავალი, აღნიშნული არის განსხვავებული საგანი, რომელიც ყველა პროგრამისთვის საკამოდ მნიშვნელოვანია, შესაბამისად გადაფარვა არ გვხვდება არსად. რაც შეეხება ეთიკის საკითხებს, პროფესიული საქმიანობის დროს, ეთიკური ნორმების დაცვა საკმაოდ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ლექტორებმა (სამმა ლექტორმა) გადაწყვიტეს, რომ აუცილებელ საკითხებს თითო კუთხით შეეხებოდნენე და სამი სასწავლო კურსის სახით დაენახებინათ ეთიკური საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ, დააზუსტა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად კურსი სახელწოდებით ,,მასებთან კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ და თუ მნიშვნელოვანია, რომელი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ შეძლოს მოცემული სასწავლო კურსის წაკითხვა. მოცემულ კურსს ასწავლის პირი, რომელსაც სივის მიხედვით საკითხთან მიმართებით არ აქვს არანაირი გამოცდილება (სამართლის ბაკალავრია და ორგანიზაციის განვითარების მაგისტრი), ხოლო პუბლიკაციებში მითითებულია მხოლოდ ერთი სტატია ლიდერული უნარების განვითარების შესახებ.
ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემულ საგანს შეიძლება ასწავლიდეს სოციოლოგი ან ფსიქოლოგიის აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანი. მნიშვნელოვანია, რომ პირი, რომელიც მოცემულ სასწავლო კურსს ასწავლის, ამჟამად არის ფსიქოლოგიის დოქტორანტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის ხელმძღვანელი არის საქართველოში საერთაშორისო ქოუჩინგის ასოციაციის პრეზიდენტი, რომელიც ფსიქო-კონსულტანტებს როგორც პოზიტიური ფსიქოლოგიის, ასევე ქოუჩინგის მიმართულებით ზრდის. ესაბამისად, არის საკმაოდ აქტიური და გამოცდილი ამ კუთხით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, სტანდარტთან შესაბამისობა, რომ დადგინდეს განსახილველ საგანს უნდა კითხულობდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. ასევე, მან დაწესებულებას სთხოვა დაეზუსტებინა მათი პოზიცია ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული კურსების, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მასობრივ კომუნიკაციას, დამატების თაობაზე და თუ თვლიან რომ უნდა დაემატოს, აღნიშნული ხომ არ გამოიწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს პროგრამაში და ამასთან მიმართებით როგორია დაწესებულების მზაობა.
ექსპერტმა დააზუსტა, რომ აღნიშნული ცვლილებები გამოიწვევს პროგრამის სტრუქტურულ ცვლილებას.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტრუქტურულად პროგრამის ცვლილებას ამ ეტაპისთვის არ გეგმავენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეზუსტებინათ ეთანხმებოდნენ თუ არა ექსპერტების მოსაზრებას ქართულ და ინგლისურ ენებთან დაკავშირებით.
დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებს მიიღებენ, როგორც რჩევას. ინგლისურ ენასთან მიმართებით გაიზიარებდნენ, ხოლო რაც შეეხება ქართულ ენას მასთან დაკავშირებული კომპეტენციები აისახება იმ კურსებში, რომლებიც უკვე შემუშავებული აქვთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:51
დასრულების დრო: 18:31

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთი წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

აბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1.1

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო სივრცისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებთან;
- რეკომენდებულია, დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართულები პროგრამის მიზნების შემუშავებაში;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის, რეკომენდებულია ორგანიზაციები შეირჩეს მიზნობრივად.

1.2

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სფეროს პეციფიკასთან და მკაფიოდ გაიმიჯნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და სხვა მომიჯნავე სფეროებისთვის სპეციფიკური მახასიათებლებისგან; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგები დაიხვეწოს და გაღრმავდეს ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში;
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგები უკეთ მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

2.1

- რეკომენდებულია ან შეიცვალოს მიღების წინაპირობება და დარჩეს მხოლოდ ინგლისური ენის (და არა ზოგადად უცხო ენის) გამოცდა, ან შეიცვალოს უცხო ენის სწავლებისადმი მიდგომა, ან ჩასწორდეს სწავლის შედეგი.

2.2

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა დოკუმენტებში მოცემული კრედიტების გადანაწილება მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში;
- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები უკეთ მოერგოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას;
- სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია შეიცვალოს საბაკალავრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი;

- რეკომენდებულია, შეიქნას ამ პროგრამისათვის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, შეფასების კრიტერიუმებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რაც არ განისაზღვრება საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციით;
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები თავისუფალ კომპონენტში, რათა უზრუნველყოფილი იყოს არჩევითობა და არჩევითი კურსების შეთავაზება მოხდეს უფრო მოქნილი ფორმატით.

2.3

- ეკომენდებულია, კურსის შედეგების მიხედვით დაკორექტირდეს სასწავლო კურსები:"ტელეჟურნალისტიკა" და "რადიოჟურნალისტიკა". ასევე, სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა;
- ეკომენდებულია, პროგრამაში მეტი აქცენტით იყოს წარმოდგენილი და,ესაბამისად, სწავლის შედეგებში ასახული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კომპეტენცია;
- ეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების: "მასკომუნიკაციის თეორიები" და "კინოდოკუმენტალისტიკა" შეფასების კომპონენტები;
- პროგრამაში სოლიდურად უნდა იყოს წარმოდგენილი მასობრივი კომუნიკაციის აღქმისა და გაგებისათვის საჭირო თეორიული საგნები: მასობრივი კომუნიკაციის ფსიქოლოგია, მასობრივი კომუნიკაციის თეორიები, მასებთან კომუნიკაცია,სავალდებულოდ და გაძლიერებულად უნდა ისწავლებოდეს კვლევა ისეთი სასწავლო კურსებით როგორებიცაა: სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები, მასკომუნიკაციისა და მედიის კვლევის მეთოდები „მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომი.

4.1

- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე განმახორციელებელ პერსონალი.

4.3

- რეკომენდებულია, მედია ცენტრი მოეწყოს სხვა, უფრო დიდ სივრცეში და აღიჭურვოს იმგვარად, რომ სტუდენტებმა რეალურად შეძლონ იმ პროფესიული-პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც აუცილებლად დასჭირდებათ მედიაში დასაქმებისთვის;
- ეკომენდებულია, სათანადოდ აღიჭურვოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

4.4

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია ბიუჯეტი გაიწეროს რეალური შემოსავლების გათვალისწინებით.

5.1

- რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის პროცესში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყოს, უშუალოდ, პროგრამის განმახორციელებელი და დაინტერესებული პირები (ვინც მომავალში უშუალოდ იქნება პროგრამის განხორციელების პროცესებში ჩართული), რომელთა ანალიზს დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის როგორც ანგარიშის დესკრიფციული ნარატივი და მისი

არგუმენტაციული ნაწილი, ისე ძლიერი, გასაუმჯობესებელი მხარეები და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული აქტივობები.

5.2

- რეკომენდებულია, წარდგენილ იქნას ინსტიტუციაში მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების სრული პაკეტის გარე ექსპერტირების, ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

5.3

- რეკომენდებულია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რათა მიზანმიმართულად განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება და ჩამოყალიბდეს განვითარების ახალი პროცესები.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. სასურველია, თვითშეფასების ანგარიში მეტად იყოს მიმართული ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებისაკენ.
2. სასურველია, მოხდეს საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული პროგრამების დეტალური ანალიზი, რაც დაეხმარება უსდ-ს უკეთ განსაზღვროს პრორიტეტები და კონკურენტუნარიანი პროგრამა შექმნას;
3. სასურველი პროგრამა დაიყოს მოდულებად, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი არჩევითობის პრინციპი და სიცხადე პროგრამის სტრუქტურაში;
4. სასურველია, საკითხავი ლიტერატურის გამრავალფეროვნება, რათა არ მოხდეს კურსებს შორის გადაფარვა;
5. სასურველია, ისეთ სასწავლო კურსებში, რომელთა შედეგებშიც მოიაზრება სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებში უმეტესწილად აქცენტი კეთდებოდეს პრაქტიკულ დავალებებისა და პროექტების შესრულებაზე;
6. სასურველია, სასწავლო კურსში "მულტიმედია ტექნოლოგიები" გაჩნდე პრაქტიკული კომპონენტი;
7. სასურველია, არჩევით სასწავლო კურსში „საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა“ თეორიული საკითხების პარალელურად პრაქტიკულ დონეზე ისწავლებოდეს არჩევნებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება;
8. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო მასალებში სავალდებულოდ და დამატებით წასაკითხი მასალა მიეთითოს გვერდებისა ან თავების მიხედვით;
9. სასურველია, სასწავლო კურსებში, იმ შემთხვევებში, სადაც ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე კომპეტენტური ავტორების მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები, მოხდეს მათი დანერგვა;
10. სასურველია სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და გაიზარდოს შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვრები;
11. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზანი როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;

12. სასურველია კვლევების ანალიზის დოკუმენტს გარდა ვიზუალური მონაცემების, რჩევებისა და რეკომენდაციის რუბრიკის წარმოდგენისა დაერთოს ცალკეული თემის ანალიზური ნაწილიც;
13. სასურველია დამსაქმებელთა ჯგუფის ფოკუსირება დარგზე და მათი პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N302785, 30.03.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია 0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N69, თბილისი, II სასწავლო კორპუსი, 0171, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2021 წლის 30 მარტის №303280 გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ ფარმაცია“ 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია და განესაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად 1 წელი (2021 წლის 30 დეკემბრამდე), რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მონიტორინგის განხორციელების პირობით. ზეპირი მოსმენისას აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია როგორც ყველა რეკომენდაცია, ასევ ყველა რჩევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:51
დასრულების დრო: 18:57

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	MES 9 21 0000331068, 06.04.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის და მართვის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია, 0714 Electronics and Automation

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ.N77, სასწავლო კორპუსი N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, განიხილა შესაბამისი რეკომენდაციები. წარმოდგენილი იყო 8 რჩევა და 6 რეკომენდაცია. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ შესრულებულია ყველა რეკომენდაცია და რჩევა, გარდა ერთი რჩევისა, რომელთან მიმართებითაც, ექსპერტის თქმით დაწესებულებას გააჩნდა დასაბუთებული და ლოგიკური არგუმენტაცია თუ რატომ ვერ შეძლეს აღნიშნული რჩევის გათვალისწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:02
დასრულების დრო: 19:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5.მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N491481, 27.05.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი N6, მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, უსდ-ს დაეკისრა ანგარიშის წარმოდგენა არაუგვიანეს 2022 წლის 27 მაისისა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთანავე, რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის უსდ-ში შექიმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ იმს ფაკულტეტის დეკანი, იმს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი. სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა რეკომენდაციებით გათვალისწინებული ცვლილებები, რამაც გამოიწვია პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ცვლილება, რაც დამტკიცებული იქნა სტუ აკადემიურ საბჭოზე 2022 წლის 25 მაისის დადგენილებით. უსდ-მ წარმოადგინა ანგარიში 2022 წლის 27 მაისს. ამ ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ მეტწილად გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, თუმცა მე-9 რეკომენდაციის შესრულების თაობაზე არ არის წარმოდგენილი საკმარისი დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არის გარკვეული მსჯელობა რჩევებთან დაკავშირებით, უმეტესი მათგანი მოწონებული და გაზიარებულია, თუმცა არ არის მოცემული მტკიცებითი ინფორმაცია რჩევების შესრულების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, სამუშაო ჯგუფმა განიხილა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი რეკომენდაცია და სასწავლო კურსების სილაბუსებში, დამხმარე ლიტერატურის სახით, ჩართული იქნა უახლესი უცხოური ლიტერატურა. ზოგიერთ შემთხვევაში მიეთითა სასარგებლო ვებ გვერდების ბმულები. გარდა ამისა, დამხმარე ლიტერატურიდან ამოღებულ იქნა რუსული ლიტერატურა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაში შემავალ პრაქტიკის კომპონენეტს. კერძოდ, მათი რეკომენდაციის თანახმად, საჭირო იყო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება - გაცილებით მეტი საკონტაქტო საათების გამოყოფა პრაქტიკისთვის. სამუშაო ჯგუფმა განიხილა აღნიშნული რეკომენდაცია და გაიზარდა პრაქტიკის საკონტაქტო საათების რაოდენობა, დამოუკიდებელი სამუშაოს საათების ხარჯზე. საკონტაქტო საათების რაოდენობა სამის ნაცვლად გახდა - ექვსი. ცვლილებები განხორციელდა ყველა კონცენტრაციაში შემავალი შესაბამისი პრაქტიკის სილაბუსებში და საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებში მითითებული იყო, რომ სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, საშემსრულებლო და სხვ. ტრანსფერული უნარების უკეთ განვითარებისათვის ლაბორატორიული სამუშაოები სპეციალობის საგნებში უნდა ჩატარდეს აბსტრაქტულ ობიექტებზე მულტისიმისა და სხვა სიმულაციური პროგრამების გამოყენებით. აუცილებელია ასევე, გამოინახოს საშუალებები თუნდაც რამოდენიმე საგნობრივი/ნატურული ექსპერიმენტის

ჩასატარებლად რეალურ ობიექტებზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით, სადაც მოცემულია, რომ (მუხლი 6. პუნქტი 7) „უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია /კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში.“ „უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით.“ რეკომენდაციის თანახმად, ცალ-ცალკე გაიწერა თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგები და გადაიხედა სწავლის შედეგებისა და მიზნების რუკა. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტინჟინერინგი“ განხორციელდა შესაბამისი მოდიფიცირება. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს სტუდენტებს გაცილებით უკეთესად აღიქვან კონცენტრაციების შინაარსი და აირჩიონ მათთვის სასურველი კონცენტრაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:27
დასრულების დრო: 19:29

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.04.2021, №384497
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი, 0102
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - გურანდა ჭელიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიერ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი (2022 წლის 21 აპრილამდე), საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 21 აპრილს. შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტმა ანგარიში წარმოადგინა 15 აპრილს 2022 წელს. როგორც აღნიშნულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, შესასრულებელი რეკომენდაციების და რჩევების ანგარიშის მომზადების პროცესი დაიწყო 2021 წლის ივნისიდან. ჯგუფის შემდგენლობაში შევიდნენ სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისა და მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის მენეჯერი, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსი, ფინანსური ანალიზის სამსახურის უფროსი, პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი და კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის დირექტორი. ჯგუფის მიერ მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების განხილვა, პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა და შემდგომ განხორციელება. მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასარულებელი რეკომენდაციები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები როგორც პროგრამაში და სილაბუსებში, ისე დანარჩენ დოკუმენტაციაში, როგორიცაა შრომის ბაზრის კვლევა, დოკუმენტაცია სწავლის შედეგების შეფასების თაობაზე, პარტნიორების ჩამონათვალი, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები. პაკეტი დეკანის მიერ წარდგენილი იქნა სკოლის საბჭოზე, ცვლილებები დამტკიცდა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებებით. ცვლილებების გნახორციელების პროცესი დასრულა 2022 წლის თებერვალში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:35
დასრულების დრო: 19:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 15 ივლისს 19:39 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით